

უნივერსიტეტიში არეობს მექანიზმები, რომლებიც იცავს სტუდენტების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. იხილავს სტუდენტების საჩივრებს .

სტუდენტს უფლება აქვს:

- ✚ შეიწყვიტოს ან შეიჩეროს სტუდენტის სტატუსი;
- ✚ მიიღოს კონსულტაცია უსდ-ს შესაბამისი პერსონალისგან;
- ✚ მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- ✚ მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში;
- ✚ თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- ✚ საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში;
- ✚ თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
- ✚ თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და **დასაბუთებული** უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- ✚ ისარგებლოს მობილობის უფლებით;
- ✚ მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;
- ✚ აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;
- ✚ მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;
- ✚ პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება;
- ✚ თვითდაფინანსების პირობებში გააუმჯობესოს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპონენტის ფარგლებში მიღებული როგორც უარყოფითი, ისე დადებითი შეფასება, შესაბამისი კომპონენტის განმეორებით გავლის გზით;
- ✚ საჩივრით მიმართოს უნივერსიტეტს აკადემიური/ადმინისტრაციული/მოწვეული პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით (გამოცდაში მიღებული შეფასები გასაჩივრება და სხვა.)

სტუდენტი აკადემიური/ადმინისტრაციული/მოწვეული პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით საჩივრით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს. საჩივარი განსახილველად გადაეცემა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს საჩივარში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით საქმის გარემოებების შესწავლას. უნივერსიტეტი უფლებამოსილია საკითხის სრულყოფილად და ობიექტურად შესწავლის მიზნით სტუდენტისგან გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

სტუდენტი ვალდებულია:

- ✦ სასწავლო პროცესის დაწყებამდე ან/და მის განმავლობაში (რექტორის ბრძანებით აკადემიური კალენდრის და მარეგულირებელი წესის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში დარეგისტრირდეს სასწავლო კურსებზე სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში UMS ან შეიჩეროს სტატუსი; შეასრულოს უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები;
- ✦ უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა;
- ✦ სისტემატურად შეამოწმოს და გაეცნოს უნივერსიტეტის სკოლის საინფორმაციო დაფებზე და სასწავლო პროცესის მართვის ელ. სისტემა UMS-ში, აგრეთვე მისთვის გახსნილ ელექტრონულ ფოსტაზე (მეილზე) გამოგზავნილ და უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას;
- ✦ დაიცვას უნივერსიტეტის წესდება, ეთიკის კოდექსი და სხვა შიდა მარეგულირებელი აქტები.
- ✦ დადგენილ ვადებში/დროულად გადაიხადოს სწავლის სემესტრული საფასური;
- ✦ ტელეფონის, მისამართის, გვარის ან რომელიმე სხვა პირადი მონაცემის ცვლილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს უნივერსიტეტს;
- ✦ გაუფრთხილდეს და რაციონალურად გამოიყენოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;